საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის ანგარიში

- 2013 წლის 1 იანვრიდან 10 დეკემბრამდე სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 25 განცხადება. სამინისტროში შემოსული ყველა მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებულია. აქვე აღსანიშნავია, რომ სამინისტროში შემოსული ერთი განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია მიჩნეულ იქნა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციად და საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე საჯარო ინფორმაციის იმ ნაწილზე, რომელზეც არ იყო გაცემული თანხმობა მიღებული იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის ნაწილის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, რომელზედაც წარდგენილი იქნა საჩივარი. თუმცა საჩივარის განხილვის ეტაპზე პირმა, რომლის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია იქნა მოთხოვნილი განაცხადა თანხმობა ინფორმაციის გაცემაზე, რის საფუძველზეც დამატებით გაიცა აღნიშნული ინფორმაცია და წარმოება საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით შეწყდა.
- საანგარიშო პერიოდში სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ არ დარღვეულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები და შესაბამისად არ მიღებულა გადაწყვეტილება პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;
- 2013 წლის 1 იანვრიდან 10 დეკემბრამდე სამინისტროში არ შემოსულა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა.
- სამინისტროს მიერ 2013 წლის 1 იანვრიდან 10 დეკემბრამდე პერიოდში ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები არ გაწეულა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო